186/2 N 2270
4/ F+
113

ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 160. | ქვირა, 19 ოქტომბერი 1903 წ | ფაზეთის № 2297.

ბოტანიკის ბაღიდამ ამმამოვალი გზა. ესრეთით დანიშნულია გზა, რომლითაც ეგვასიის მთავარმართებელი თავადი გ. ს. გოლიცინი სახლში მოდიოდა 14 ოქტომბერს. მარჯვენივ ლოლაძეს სახლია, ამის პირდაპირ, მარცხნივ, დუქნები.



ადგილი, სადაც ბოტანიკის ბაღიდამ ამამოვალი გზა ეერთდება კოჯორის გზატკეცილს. მარჯვენივ გზა ტფილისისაკენ მიდის, მარცხნივ, სადაც ურმები მოჩანან, კოჯორისაკენ. ოთხი წერტილით დანიშნულია ის ადგილი, სადაც 14 ოქტ. ბოროტ-ვამზრახველნი თავს დაესხნენ ეკვ. მთავარმმართებელს თ. გ. ს. გოლიცინს.

კეთილი და ჩვილი გულის კაცი

(თარგმანი).

როდესაც „კეთილსა და ჩვილი გულის კაცს“ სიპატიმროს უფროსობა სთხოვეს, არამც თუ უარი განაცხადა, სიამოვნებით დასთანხმდა კიდეც. ეგონა, ყველაზედ უფრო საუკეთეს. ასპარეზი ქრისტიანურის მოქმედებისა სიპატიმროაო. კეთილი კაცი დარწმუნებული იყო, ტკბილის სიტყვითა და შშობლიურის მზრუნველობით დაჩაგრულს მოძმეთ სიპატიმროში ცოტაოდნად მაინც შეუმსუბუქებდა ჯოჯოხეთურ ცხოვრებას. კეთილი კაცი დანიშნეს სიპატიმროს უფროსად. გულმხურვალედ შეუდგა საქმეს, მხოლოდ არა ფორმალურად და კანონის გგგმით, არამედ სინდისით და მოძმეთა წრფელის სიყვარულით.

გეორგი მარტელი,
რომელიც იკვლევს ზავი ზღვის ნაპირა ადგილებს, სადაც რკინის გზის გაყვანას აპირებენ.

ოპონი. —სიტუაციერი კაბეოი.

კეთილი კაცი მსხვერპლი გახდა თავის უანგარო მოქმედებისა.

არავითარი ბოროტობა არ ჩაუდენია, პირადი ინტერესები ფიქრადაც არ მოსულია, არავინ დაუჩაგრავს, მაგრამ მოულოდნელად დამნაშავეს სკამზედ კი დასაკუთეს...

რისთვისა, რადა?

იმად, რომ სიპატიმროს უფროსი კეთილი, გულჩვილი და უანგარო კაცი არ უნდა იყოსო. „არა შეჯდა მწყური ხესა, არა იყო გვარი მისი“, ნამდვილად ასე დამბართა კეთილ და სინდისიან კაცს. ქვეყნად მკეთხველიც დარწმუნდება, რომ ყოველივე იმისი მოქმედება და უანგარო სამსახური „წესის დარღვევად“, „კანონის გადალახვად და შებღალვად“ აღნიშნეს.

სიპატიმრო აიგეს მხოლოდ ოთხმოც ტუსაღისთვის, მაგრამ შიგ მოთავსებული იყო 200 ტუსაღი, ერთად შეჯგუფული, საშინელ ვიწროობაში. მუდმ კარებ ჩაკეტილი იყო; ერთად-ერთის შეკლის დასაფლავებაზედ სიპატიმროდან მამი გაშვება ხომ მამაკვლინებელ ცოდად ჩაითვლებოდა.

ოპონი.—სადასის მიგეშა.

კეთილი კაცი ნება არა ჰქონდათ, ეზოში ეელოთ. შეხუთულ და გიფუჭებულ ჰაერის გამო აუარებელი ავადმყოფი იყო. უმეტესობა „ცინგეთ“ ხდებოდა ავად, ბოლოს საოფლეყო განნდა.

კეთილ კაცს შეებრალა უბედური მოძმენი. ბძანება გასცა, სიპატიმროს კარები გაეღოთ და მთელ ღღეს ღია დაეტოვებინათ სუფთა ჰაერის სამუშაოდ. ამით კანონი დაარღვია, პირველი ესა.

ჩვილი გულის უფროსი ვერ უძლებდა ტუსაღების ტანჯვას: ნება მისცა თავისუფლად ეზოში ესეირნათ. ოთახები გაკეთილი იყო და თითქმის ერთი-ერთმანეთზედ იწვნენ. სიხალვათის გამო ზოგნი დერეფანში დაწვნა. საქმის ღღეს შეეძლო ტუსაღს გამოსულიყო თავის ნათესავისა და ნაცნობის სანახავად. ერთს ტუსაღს ერთად-ერთი შვილი ჰყავდა სიპატიმროს გარედ და ისიც მოუკვდა სიბრალოს. უფროსმა იმდენი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ ნება მისცა მამას დასაფლავებაზედ წასულიყო (ზედამხედველი გაყოლა) და უკანასკნელად გამოსთხოვებოდა შვილს.

კეთილმა უფროსმა არა ერთხელ და ორჯელ, არამედ უანგარიშოდ გადალახა და დაარღვია სიპატიმროს წესები.

მოწმეთა ჩვენებით კი კეთილ უფროსის დროს სრული კმაყოფილება და წესი სუფევდა სიპატიმროში. არც ერთხელ არავის არ შეუნიშნავს ტუსაღთა შორის ჩხუბი, უზნეობა და არეულობა. მუდამ სუფთა ჰაერი ჰქონდათ, ახალი და კარგი საკმელი. იმისი დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ სიპატიმროს წესებს არ მისდევდა. ეს წესი-კი უბძანებდა კეთილს უფროს: თუნდაც ყველა ტუსაღ ერთად დამჩაგვლიყო, მაინც სადგომის კარების გაღება არ შეიძლებოდა. რაც უნდა ვიწროობა და უალაგობა ყოფილიყო, მაინც ტუსაღების დერეფანში წოლა შეუძლებელი იყო.

ია ბონია.—კაზეთის კითხვა რკინის გზის ვაგონში.

მარტო ამითი არა თავდება კეთილი კაცის დანაშაულობა. ამისდა საუბედურად მთავრობამ მოულოდნელად სასატიმრო დაათვალიერა. რევიზიის დროს მრავალი უწესობა და კანონის დარღვევა აღმოჩნეს. კეთილ კაცს უბმანეს, უსათუოდ კანონის გეგმით ემოქმედნ. თავისუფლებას შეჩვეულმა ტუსაღებმა ველარ შესძლეს შეეწროების ატანა და ყველა ერთად ადგნაყდა. კეთილმა უფროსმა ყველაფერი ანატია ტუსაღებს და დასჯის მაგივრად თითონვე ხელი შეუწყო, რომ გუბერნატორისათვის არაზა მიერთმიათ.

თითქმის მთელ ორ წელიწადს სისხლის სამართალში იყო მიცემული კეთილი კაცი. ლოდნში გული ელოდა, არ იცოდა, რითი და როგორ გათავდებოდა ამისი საქმე. გარჩევის დროს, რაკი კეთილ კაცს ნამოქმედარში ვერ აღმოაჩინეს ბოროტ მოქმედება, მარტო სამსახურიდან დაითხოვეს.

მკითხველო, კი არ გეგონოს, რომ ეს უბრალო სასჯელი იყოს. ცხრამეტის წლის შრომამ (ვიდრე სასატიმროში შეეიდოდა) ამაოდ ჩაუარა. რას ინაღვლიდა სასატიმროში დამსახურებულ ჩინის—კოლეგსკი ასესორობის—დაკარგვას, სამუდამოდ რომ არ გიეუბედურებინათ და ყოველ სამსახურის კარი არ დაეხშოთ ამისათვის.

ჩვენში ამჟამად ამნაირად ისჯება „კეთილი და ჩვილის გულის კაცი“. ამაზედ იტყვიან: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, ხსენებულ სასატიმროში დიდი ეიწროობა რომ არა ყოფილიყო, ან საოფლე და ცინგა რომ არ გაჩენილიყო, კეთილი კაცი კანონს არ დაარღვევდა და წესს არ გადაუხვევდაო. ვინ იცის, იქნებ მაშინ უფრო გადარჩენილიყო, მაგრამ, ნუ დავიიწყებთ, რომ სხვა შეცდომაც ჩაადინა: ტუსაღი გაუშვა, რომ ერთადერთის შვილის დასაფლავებას დასწრებოდა და უკანასკნელად გამოსთხოვებოდა შვილს...

არა, სჯობია, რაც მართალია, ისა ვსთქვათ ყოველად შეუძლებელია სასატიმროს უფროსად კეთილი და გულჩვილი კაცი იყოს.

მარაბ ქემურა.

აზრს ბაკი არ დაედება

(ორგმნი გერმანულიდან).

ერთს დიდს სახელმწიფოში იყო ერთი კანცლერი. ეს კანცლერი მეტად მეტეორმეტყველი კაცი იყო და საოცარ კარგ სიტყვებს ამბობდა პარლამენტში. სხვაფრივაც კარგი და გულკეთილი კაცი იყო. ამ კანცლერს დაავალეს ახალ სადამონო ტარიფის შედგენა. და აი როგორ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. წავიდა ერთ ნაცნობ მემამულესთან და უთხრა:

— პატივცემულო ფეოდეფუშთე, მე უნდა შევადგინო ახალი სადამონო ტარიფი. გთხოვთ გამიზიაროთ თქვენი დარდი.

—მართალი მოგახსენოთ, სადარდელი ბევრი რამ მაქვს.—უპასუხა ფეოდეფუშთემ,—მაგრამ უდიდესი დარდი ჩემი—ჩვენს სახელმწიფოში შემოსატან პურზე ბაჟის სიმცირეა. თუ რომ ამ პურზე ბაჟი ასწიეს, ჩემს ხორბალსაც ფასი შაემატება, მე კელავ ვიწამებ ღმერთსა და მზად ვიქმნები სისხლი ჩემი დავღვარო მეფის სამსახურად. მაგრამ, თუ ჩემი ხორბალი არ გაძვირდა, მეტი ალარაფერი დამრჩენია, მეც სოციალისტი უნდა გავხდე.

კანცლერმა ვერაფერი უპასუხა, მაგრამ ცოტა არ იყოს შეეშინდა და ასწია ბაჟი შემოსატან პურზე. შემდეგ კონცლერი წავიდა ქარხნის პატრონ ფონ-შულცერთან და ჰკითხა:

— პატივცემულო შულცე, ოჰ, უკაცრავად, ფონ-შულცე უნდა მეთქვა. მითხარით, რა დარდი გაქვთ? საქმე ის გახლავთ, რომ ახალ სადამონო ტარიფის შედგენა დამაკისრეს.

— სადარდელი ბევრი რამა მაქვს,—უპასუხა შულცემ,—მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი დარდი ჩემი არის უცხოელ ქარხნებში გაკეთებულ საქონელზე ბაჟის სიმცირე. თუ უცხო ქვეყნებიდან შემოსატან საქონელზე ბაჟი ასწიეს, მზად ვიქმნები ყველაფერში თქვენდა სამსახურად, და თუ არა, „შმაკმა წამიღოს, თუ..

— ტა-ტა-ტა-ტა, საყვარელო შულცე, უკაცრავად, ფონ-შულცე უნდა მეთქვა,—ჩვენ ვიცით თქვენი ფასი, და საზოგადოდ...

კონცლერმა ალარ გაათავა, გასწია სახლში და ბძანება გასცა მოემატებინათ ბაჟი უცხოეთის ქარხნებში გაკეთებულ საქონელზე. ამ გვარად კანცლერმა შემოიარა მრავალი ხალხი, გამოჰკითხა ყველას, ვის რა ადარდებდა. თანდათან შემუშავდა ახალი სადამონო ტარიფი. ყველანი მადლიერნი

ია ბონია.—რედაქტორ.

იყვნენ, რადგან ყველაფერზე კანცლერმა მოუმატა ბაჟს, ვინც რა ითხოვა. მაგრამ სწორედ ეხლა მოხდა ახირებული ამბავი. ერთხელ კანცლერსა და იმის ცოლს უსიამოვნო ლაპარაკი მოუვიდათ და ცოლმა უთხრა.

— ჰეგგიბალდ, რომ იცოდე, რა აზრისა ვარ მე შენზე!

— მე გთხოვ, ფილომენე, მითხარი რა აზრისა ხარ რენზე?

— უკაცრავად გახლავარ, არც გეტყვი, ვერც ვერას ვეტყვი. ამ ბაჟმა ბაჟი არ დაედებაო.

— ეს ბაჟი, ეს ბაჟი, ეს ბაჟი,

L2- J. 52/208

მართალია, კანცლერის ოლის პასუხში დიდი ლოღიკა არა ყოფილა, მაგრამ არც თუ მოეთხოება დიდი ლოღიკა დედაქალს. ამ სიტყვებს კი მოჰყვა ამბავი. კონცლერი დაწვა დასაძინებლად, მაგრამ ძილი არ მიეკარა. ტრიალებდა ლოგინში და ათი ათასჯერ მინც წაიბუტბუტა: „აზრს ბაკი არ დაედება“, „აზრი თავისუფალია ბაკისაგან“, „აზრს ბაკი არ ადევს“. ბოლოს დაეკითხა თავის თავს: „დასწყველოს ეშმაკმა, მერე რატომ არ ადევს ბაკი აზრსა, როდესაც სხვა ყველაფერს ადევს ბაკი?“ ძილით ადრე ადგა და მოიხმო საგანგებო საქმეთა მოხელე.

— ერთი ეს მითხარი, ეს რა დაგვემართა: ყველაფერს დავადეთ ბაკი, ხოლო აზრი კი, აზრი უბაკოდ დარჩა. რათა, რატომ, რისთვის? გთხოვთ დაუყოვნებლივ შეიტყოთ და მოახსენოთ.

საგანგებო საქმეთა მოხელე წავიდა სხვა-და-სხვა სამინისტროებში შესატყობად და დაეკითხა სხვა საგანგებო საქმეთა მოხელეებს. ორის საათის შემდეგ გამოეცხადა კონცლერს.

— აბა, რას იტყვით?

— თქვენო ალმატებულებავ,—დაიწყო მოხელემ,—მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ბრძანებისამებრ თქვენის ალმატებულებისა, ყველგან გამოვიკითხე და ეხლა მოვალე ვარ მოკლედ მოგახსენოთ შემდეგი: 1) აზრს ბაკი დაედებოდა მაშინ, თუ რომ ჩვენს ქვეყანაში აზრი: ა) ხშირად სახმარებელი იყოს და, მაშასადამე, ისეთი საქონელი, ურომლისოდაც ადამიანი ვერ იცხოვრებდა, ბ) ფასიანი საქონელი იყოს, რადგან ჩვენის ქვეყნის კანონების მიხედვით ბაკი ისეთს საქონელს დაედება, რომელსაც ფასი აქვს. 2) ყველა სამინისტროს საგანგებო საქმეთა მოხელეთ დამიმტკიცეს, რომ ეხლა სამინისტროებში აზრს გასავალი არა აქვს და ეს-კი იმასა ჰნიშნავს, რომ ასეთი საგანი არა ფასობს ჩვენს ქვეყანაში. 3) სტატისტიკის ცნობებით დამიმტკიცეს აგრეთვე, რომ 1890 წლიდან მოყოლებული აქამდე აზრს ისეთი ფასი არა ჰქონია, რომელსაც ითხოვს ჩვენი კანონი ბაკის დასადებად, და ამიტომ იმ დასკვნის უნდა დავადგეთ, რომ...

— მადლობელი გახლავარ, სრულიად საკმარისია,—გაიწყვეტინა სიტყვა კონცლერმა,—ყოველსავე მაგას მე მოვახსენებ პარლამენტს. მართალსა ბძანებთ, მე არც კი მახსოვს, რომ რაც კონცლერის თანამდებობას ვასრულებ, შემხვედრიყოს როდისმე მაგგვარი საქონელი.

საგანგებო საქმეთა მოხელემ მძიმედ დაუკრა თავი კანცლერს და მიატოვა. კანცლერი გამხიარულდა. და ეი ამ გვარად ახალ სადამოონო ტარიფის შედგენის დროს აზრს ბაკი არ დაედება და უბაკოდ ტრიალებს ეს საქონელი იმ ქვეყანაში.

ს. ნ.

ჩვენი დროის ჯამაზი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 11 октября 1903 г. Электротип. груз. изд. т—ва. ელექტროტიპის სტამბა წიგნ. გამომც. ქაბთ. ამბ—ბა.